საქართველოს მთავრობის განკარგულება

№900 2016 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და ტუვალუს მთავრობას შორის დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღებისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით, მოლაპარაკების გამართვის თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტების გაცვლის გზით, გაიმართოს მოლაპარაკება „საქართველოს მთავრობასა და ტუვალუს მთავრობას შორის დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღებისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი